



ელექტროენერჯის ბაზრის მიმოხილვა

2024 წლის პირველი ნახევარი

ენერჯეტიკა
2024 წლის I ნახევარი
31 ივლისი 2024

2024 წლის პირველი ნახევრის ძირითადი სიახლეები

2024 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 2.6%-ით გაიზარდა. ზრდა საცალო (+4.9% წ/წ) და პირდაპირი მოხმარებლების (+4.9% წ/წ) გაზრდილმა მოთხოვნამ განაპირობა. აფხაზეთის რეგიონში მოხმარების კლების ტენდენცია შენარჩუნდა (-5.6% წ/წ). აღსანიშნავია, რომ პირდაპირი მოხმარების ზრდა კრიპტო-მინინგის და მეტალურჯის გააქტიურების შედეგია და ზრდის გაგრძელება მოსალოდნელია.

ადგილობრივი გენერაცია წლიურად 3.9%-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტის მოცულობა 23.9%-ით შემცირდა. ეს დინამიკა ჰიდროსადგურების მზარდი გენერაციის შედეგია (+13.5% წლიურად), რაც თავის მხრივ უხვი ნალექის დამსახურებაა. გაზრდილმა ჰიდროგენერაციამ თბოსადგურების საჭიროება შეამცირა. შედეგად, თბოგენერაცია წლიურად 26.3%-ით შემცირდა 2024 წლის პირველ ნახევარში და ჯამური გენერაციის 15.9% შეადგინა. ამასთან, ექსპორტი შარშანდელ დონეზე შენარჩუნდა - 757 გვტ.სთ (წლიურად მხოლოდ 0.1%-ით გაიზარდა).

ევა ბოჭორიშვილი

კვლევების დეპარტამენტის
ხელმძღვანელი
evabochoreshvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.8036

მარიამ ჩახვაშვილი

სექტორის უფროსი
mchakhvashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.7897

სერგი ყურაშვილი

უფროსი ანალიტიკოსი
s.kurashvili@gt.ge
+995 322 401 111 ext.3654

სხვა სიახლეები:

- გამოცხადდა განახლებადი ენერჯის მეორე აუქციონის გამარჯვებული პროექტები (გვერდი 2)
- 2024 წლის პირველ ივლისს ენერჯეტიკულმა ბირჟამ ფუნქციონირება დაიწყო (გვერდი 3)
- 23 ივლისს ენერჯეტიკულ ბირჟაზე პირველი გარიგება შედგა (გვერდი 3)




სიმძლავრის აუქციონი

გამოცხადდა განახლებადი ენერჯის მეორე აუქციონის გამარჯვებული პროექტები. გამარჯვებულია 63 პროექტი, მათ შორის 32 ჰიდრო მოდინებაზე (183.2 მგვტ), 8 ჰიდრო მარეგულირებელი 1-4 სთ. (53.0 მგვტ), 6 ჰიდრო მარეგულირებელი 4-8 სთ. (130.6 მგვტ), 10 მზის (239.8 მგვტ) და 7 ქარის სადგური (204.2 მგვტ). აუქციონში გამარჯვებულთა შორის CFD ფასები მერყეობდა კვტ.სთ-ზე 4.68 - 7.74 აშშ ცენტის ფარგლებში. ყველაზე დაბალი ფასი მზის სადგურის პროექტზე დაფიქსირდა, ყველაზე მაღალი კი 4-8 საათამდე მარეგულირებელ ჰიდრო სადგურზე.

CFD პრინციპის მიხედვით, გამარჯვებული კომპანიები ესკოსგან მიიღებენ დღით-ადრე ბაზარზე დაფიქსირებულ ფასსა და კონტრაქტით განსაზღვრულ ფასს შორის სხვაობას.

გრაფიკი 1: სიმძლავრის მეორე აუქციონის გამარჯვებულები ფასის მიხედვით, მგვტ.



ცხრილი 1: სიმძლავრის აუქციონის შედეგები

	ჰიდრო მოდინებაზე	ჰიდრო რეგ. (1-4 სთ)	ჰიდრო რეგ. (4-8 სთ)	ქარი	მზე	ჯამი
პროექტების რაოდენობა	32	8	6	7	10	63
ჯამური სიმძლავრე, მგვტ	183.2	53.0	130.6	204.2	239.8	810.7
მაქსიმალური ტარიფი	6.5	7.5	7.735	5.98	5.43	7.74
მინიმალური ტარიფი	5.89	7.49	7	5.5	4.68	4.68

წყარო: ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო



როგორც [წინა მიმოხილვაში](#) აღვნიშნეთ, **განახლებადი ენერჯის სიმძლავრის აუქციონი აღარ გამოცხადდება**, მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად სამი აუქციონის გამოცხადება იყო დაგეგმილი. ეკონომიკის სამინისტროს განცხადებით, პროექტების განხილვის პროცესი გამართივდება და ცალკეულ პროექტებს აუქციონის გარეშე, მემორანდუმის გზით შეეძლება სამინისტროსთან ხელშეკრულების გაფორმება. ინიციატივის მიხედვით, მეორე აუქციონზე მიღებული მედიანური ტარიფი განისაზღვრება, როგორც კონკურენტულ პირობებში მიღებული ფასი და მემორანდუმის პირობები მასზე იქნება დაფუძნებული.

ენერგეტიკული ბირჟა

2024 წლის პირველ ივლისს, ექვსჯერ გადავადების შემდეგ, ენერგეტიკულმა ბირჟამ ფუნქციონირება დაიწყო. როგორც დაგეგმილი იყო, ბაზარი ეტაპობრივად სრულად ამოქმედდება. ამ ეტაპზე, ვაჭრობა ნებაყოფლობითია და უბალანსობის სისტემა არ მოქმედებს. თავდაპირველად ბირჟაზე ოთხი მონაწილე დარეგისტრირდა, რაც მოგვიანებით 13-მდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, პირველი სამი კვირის განმავლობაში ბირჟაზე გარიგება არ დადებულა. როგორც ბაზრის მონაწილეები განმარტავდნენ, მყიდველისა და გამყიდველის შეთავაზებული ფასები ნელი ტემპითუახლოვდებოდა ერთმანეთს. ეს მოსალოდნელიცაა, ვინაიდან ბირჟაზე პირველი გარიგება შეიძლება აღიქმებოდეს როგორც ფასების ერთგვარი საორიენტაციო ნიშნული მოკლევადიან პერიოდში. შესაბამისად, პირველი გარიგების დადება მყიდველებს მაღალ ფასად, ხოლო გამყიდველებს დაბალ ფასად არ სურდათ.

23 ივლისს ბირჟაზე პირველი გარიგება შედგა. 24 ივლისის დღისთვის 1,009 მგვტ. ელექტროენერჯია გაიყიდა, საშუალო ფასი მგვტ.სთ-ზე 126.43 ლარი (44.56 აშშ დოლარი) დაფიქსირდა, რაც კვტ.სთ-ზე 12.64 თეთრია (4.5 აშშ ცენტი). გარიგების მხარეები ბირჟაზე ოფიციალურად არ საჯაროვდება, თუმცა თავად კომპანიამ გამოაცხადა, რომ პირველი ისტორიული ვაჭრობის გამყიდველი მხარე ეპ ჯორჯია გენერაცია იყო. 2024 წლის 30 ივლისის მდგომარეობით ბირჟაზე ჯამურად 11,500 მგვტ. ელექტროენერჯია ნავაჭრი. საშუალო ფასი მგვტ.სთ-ზე კვლავ 126.43 ლარია. ბაზრის მონაწილეები ვარაუდობენ, რომ ეს ფასი მომავალ სავაჭრო სესიებზე გაიზრდება.



ელექტროენერჯის მოთხოვნა, მიწოდება და ფასები


მიწოდება: 2024 წლის პირველ ნახევარში ქსელში მიწოდებული ელექტროენერჯის საერთო მოცულობამ 7.8 ტვტ.სთ შეადგინა. აქედან 6.1 ტვტ.სთ (ჯამურის 77.7%) ჰესების გამომუშავება იყო, 1.2 ტვტ.სთ (ჯამურის 15.9%) თბოსადგურების, 0.04 ტვტ.სთ (ჯამურის 0.5%) ქარის სადგურის, ხოლო 0.5 ტვტ.სთ (ჯამურის 5.9%) იყო ელექტროენერჯის იმპორტი.

მოთხოვნა: ქსელში მიწოდებული 7.8 ტვტ.სთ-დან, ადგილობრივმა მოხმარებამ საბითუმო დონეზე 6.7 ტვტ.სთ (ჯამურის 86.5%) შეადგინა, 0.8 ტვტ.სთ (ჯამურის 9.7%) გავიდა ექსპორტზე, ხოლო 0.3 ტვტ.სთ (3.8%) დაიკარგა ქსელში ტრანსპორტირებისას.

ელექტროენერჯის მოხმარება

2024 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ადგილობრივი მოხმარება წლიურად 2.6%-ით გაიზარდა. მატება საცალო (+4.9% წ/წ) და პირდაპირი მომხმარებლების (+4.9% წ/წ) გაზრდილი მოთხოვნის შედეგი იყო, აფხაზეთის რეგიონის მოხმარება კი წლიურად 5.6%-ით შემცირდა. პირდაპირი მოხმარების მატება კრიპტო-მაინინგ და მეტალურგიის სექტორების გამოცოცხლებით აიხსნება, რაც კრიპტო აქტივების და ფეროშენადნობების ფასების ზრდამ გამოიწვია. ამასთან, მეტალურგიული კომპანიების განცხადებით, ფასები ჯერ საკმარისად გაზრდილი არ არის, რომ საწარმოებმა სრული დატვირთვით იმუშაონ. შესაბამისად, მოხმარების ზრდის პოტენციალი კვლავ მაღალია, რაც მეტალის ფასების ზრდის დინამიკაზე იქნება დამოკიდებული.

გრაფიკი 2: ელექტროენერჯის მოხმარება საბითუმო მომხმარებლების მიხედვით, ტვტ.სთ.



წყარო: სემევი, გალტ & თაგარტი

შენიშვნა*: საცალო მოხმარებაში შედის თელასის, ენერგო-პრო ჯორჯიას, თელმიკოს და ეპ ჯორჯია მიწოდების ელექტროენერჯის ჯამური მოხმარება.

შენიშვნა**: ეპ ჯორჯია და თელმიკო დაფუძნდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით. პირდაპირ მომხმარებლად სავალდებულოდ რეგისტრაციის კრიტერიუმია 0.4გვტ.სთ საშუალო-თვიური მოხმარება

ცხრილი 1: ელექტროენერჯის მოხმარების დინამიკა, 6თ24

მომხმარებელი	წლიური ზრდა	წილი ჯამურ მოხმარებაში
შიდა მოხმარება	+2.6%	100.0%
აფხაზეთის რეგიონი	-5.6%	20.3%
პირდაპირი მომხმარებლები	+4.9%	22.5%
საცალო მომხმარებელი	+4.9%	57.2%
ენერგო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია მიწოდება	+2.3%	32.9%
თელასი და თელმიკო	+8.7%	24.3%




ელექტროენერჯის გენერაცია

2024 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ადგილობრივი გენერაცია და იმპორტი წლიურად 1.7%-ით გაიზარდა. ჯამური მიწოდების 77.7%-ს ჰიდრო სადგურები, 15.9%-ს თბო სადგურები, 0.5%-ს ქარის სადგურები, დარჩენილ 5.9%-ს კი იმპორტი შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ ამ ოთხი წყაროდან წლიურად მხოლოდ ჰიდროსადგურების გენერაციაა გაზრდილი. მათ მიერ გამოიმუშავებული ელექტროენერჯია წლიურად 13.5%-ით გაიზარდა და 6.1 ტვტ.სთ შეადგინა.

2024 წლის პირველ ნახევარში მნიშვნელოვნად შემცირდა როგორც იმპორტის, ასევე თბოგენერაციის მოცულობა. იმპორტი წლიურად 23.9%-ით 0.5 ტვტ.სთ-მდე, ხოლო თბოგენერაცია წლიურად 26.3%-ით 1.2 ტვტ.სთ-მდე შემცირდა. ორივე კომპონენტის კლება პირველ კვარტალში დაფიქსირებული შემცირების შედეგია, ვინაიდან, ტრადიციულად, მეორე კვარტალში მათი საჭიროება (და შესაბამისად გამოყენება) ნაკლებია. ჯამურად, 2024 წლის პირველ ნახევარში იმპორტულ ელექტროენერჯიაში რუსეთს 91.4% წილი ეჭირა (განკუთვნილი სრულად აფხაზეთისთვის), დარჩენილი 8.6% კი აზერბაიჯანს.

გრაფიკი 3: ელექტროენერჯის გენერაცია და იმპორტი, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თავარტი.

ცხრილი 2: მიწოდება, 6თ24


მიწოდება	წლიური ზრდა, %	წილი მიწოდებაში
ჯამური მიწოდება	+1.7%	100.0%
იმპორტი	-23.9%	5.9%
ადგილობრივი გენერაცია	+3.9%	94.1%
თბოსადგურები	-26.3%	15.9%
ქარის სადგურები	-7.9%	0.5%
ჰესები	+13.5%	77.7%
ენგური-ვარდნილი	+17.7%	25.2%
სხვა რეგ. ჰესები	+13.2%	23.3%
დერეგულირებული ჰესები	+10.2%	29.3%



საგარეო ვაჭრობა - ექსპორტი და ტრანზიტი


ელექტროენერჯის ფასი თურქეთის ბაზარზე 2023 წლის განმავლობაში მცირდებოდა და ტრენდი 2024 წლის პირველ ნახევარშიც გრძელდება. 2023 წლის ექსპორტის სეზონზე, აპრილ-ივნისში, თურქეთში ელექტროენერჯის საშუალო ფასი კვტ.სთ-ზე 8.8 აშშ ცენტი, ხოლო 2024 წლის პირველ ნახევარში 6.5 აშშ ცენტი იყო.

გრაფიკი 4: თურქეთის ბაზარზე საშუალო წლიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი


გრაფიკი 5: თურქეთის ბაზარზე საშუალო თვიური ფასი, აშშ ცენტი კვტ.სთ-ზე



წყარო: EPIAS, EVDS, გალტ & თაგარტი

თურქეთის ბაზარზე შემცირებული ფასებმა ამ ბაზრის მიმზიდველობა შეამცირა. იმის გათვალისწინებით, რომ თურქეთის ადგილობრივი ფასები პანდემიამდელ ფასებთან შედარებით კვლავ მცირედით მაღალია, ტრანზიტის ოდენობა პანდემიამდელ მაჩვენებლებს კვლავ აღემატება. 2024 წლის პირველ ნახევარში საქართველოს გავლით თურქეთში 0.4 ტვტ.სთ ელექტროენერჯის ტრანზიტი განხორციელდა, რომელიც სრულად აზერბაიჯანიდან მოდიოდა.

გრაფიკი 6: თურქეთში ელექტროენერჯის ტრანზიტი, ტვტ.სთ



წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი


2024 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ექსპორტის მოცულობამ 0.8 ტვტ.სთ შეადგინა (+0.1% წ/წ). წლიურ ქრილში ზრდა მიზეზულია, თუმცა გასულ წლებთან შედარებით, ექსპორტის



მოცულობა მაღალი რჩება - 2021 წლიდან გაორმაგებულია, 2022-თან შედარებით კი 21%-ით გაზრდილი. მოცულობის ზრდის მიუხედავად, წლიურად 31.5%-ით შემცირდა ექსპორტიდან მიღებული შემოსავალი, რაც ძირითად საექსპორტო ბაზარზე - თურქეთში შემცირებული ფასით აიხსნება. 2024 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის ექსპორტის 83.8% (634.6 გვტ.სთ) თურქეთში გავიდა, 11.9% (89.8 გვტ.სთ) სომხეთში, ხოლო დარჩენილი 4.2% (32 გვტ.სთ) აზერბაიჯანში. ექსპორტის საშუალო ფასი 4.8 აშშ ცენტი იყო, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31.5%-იანი კლებაა.


ტოპ-3 ექსპორტიორი იყვნენ ბუქაფ სოლუმენზ, ქროს ბორდერ ტრეიდიინგი და ესკო.

გრაფიკი 7: ელექტროენერჯის ექსპორტი ქვეყნების მიხედვით, გვტ.სთ



წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 8: ელექტროენერჯის ექსპორტის ღირებულება და საშუალო ფასი




წყარო: სემეკი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

ელექტროენერჯის იმპორტი

2024 წლის პირველ ნახევარში ელექტროენერჯის იმპორტი წლიურად 23.9%-ით შემცირდა. საქართველოში ელექტროენერჯის იმპორტმა 0.5 ტვტ.სთ შეადგინა (ჭამური მოთხოვნის 5.9%). იმპორტირებულ ელექტროენერჯიაში უმეტესობა, 91.4% რუსეთიდან მოდიოდა, დანარჩენი 8.6% კი - აზერბაიჯანიდან. აღსანიშნავია, რომ საშუალო საიმპორტო ფასმა 0.7 აშშ ცენტი შეადგინა, რაც წინა წლის მაჩვენებელზე (0.1 აშშ ცენტი) ბევრად მეტია. ზრდა გასული წლის დაბალი ბაზის შედეგია, როცა იმპორტი მხოლოდ რუსეთიდან აფხაზეთის რეგიონის მოხმარების მიზნით ხორციელდებოდა, აფხაზეთი კი ელექტროენერჯიას რუსეთიდან სპეციალურ ფასად იღებს. რუსეთიდან იმპორტირებული ელექტროენერჯია წელსაც სრულად აფხაზეთის მოხმარებისთვის იყო განკუთვნილი.




გრაფიკი 9: ელექტროენერჯის იმპორტი, ტვტ.სთ და საშუალო ფასი



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 10: ელექტროენერჯის იმპორტი ქვეყნების მიხედვით, ტვტ.სთ




წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

სავაჭრო ბალანსი


2024 წლის პირველ ნახევარში კვლავ ნარჩუნდება დადებითი სავაჭრო ბალანსი. ექსპორტის მოცულობის მაღალ ნიშნულზე შენარჩუნებამ, ხოლო იმპორტის საჭიროების კლებამ, მიმდინარე წელს დადებითი სავაჭრო ბალანსი გაზარდა, რამაც 0.3 ტვტ.სთ შეადგინა. თუმცა ღირებულებაში სავაჭრო ბალანსი გაუარესდა, რადგან იმპორტის ღირებულება გაიზარდა, ხოლო საექსპორტო ფასი შემცირდა.

გრაფიკი 11: ელექტროენერჯის იმპორტი და ექსპორტი, ტვტ.სთ



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 12: სავაჭრო ბალანსი, მლნ აშშ დოლარი



წყარო: სემევი, საქსტატი, გალტ & თაგარტი




ელექტროენერჯის ფასები საქართველოში

საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობამ 1.9 ტვტ.სთ შეადგინა (+46.1% 5/5), რაც ჯამური მიწოდების 24.7%-ია. ელექტროენერჯის დანარჩენი მოცულობის ვაჭრობა ორმხრივი კონტრაქტებით განხორციელდა. საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა ძირითადად საბალანსო ენერჯის ზრდის შედეგია, რომლის წილმაც 2024 წლის პირველ ნახევარში 20.6%-ს მიაღწია. ეს ზრდა, როგორც [წინა მიმოხილვაში](#) აღვნიშნეთ, ესკოს მიერ პირველ კვარტალში მტკვარი ენერჯისა და თბილსრესის გამომუშავებული ენერჯის გაზრდილი შესყიდვების შედეგია. მეორეს მხრივ, საბალანსო ელექტროენერჯიაში კვლავ მცირე იმპორტის წილი - 2024 წლის პირველ ნახევარში მისი მოცულობა მხოლოდ 39.3 გვტ.სთ იყო, რაც ესკომ სრულად აზერბაიჯანისგან შეისყიდა.


საბალანსო ელექტროენერჯის საშუალო გასაყიდი ფასი წლიურად 11.3%-ით გაიზარდა და კვტ.სთ-ზე 5.5 აშშ ცენტი შეადგინა. თვიურ მონაცემებში საბალანსო ელექტროენერჯის ფასი მერყეობდა კვტ.სთ-ზე 4.6-5.9 აშშ ცენტის ფარგლებში. საბალანსო ელექტროენერჯის უმეტესობა (77.4%) იყო ესკოს მიერ გარანტირებული შესყიდვის ხელშეკრულებით (PPA) შესყიდული ენერჯია, საიდანაც 69.1 პროცენტული პუნქტი იყო ჰიდროელექტროდსადგურები, 28.3 პროცენტული პუნქტი გარდაბნის N2 თბოსადგური, ხოლო დანარჩენი 2.6 პპ ქარის ელექტროსადგური. იმპორტი საბალანსო ელექტროენერჯის მხოლოდ 2.0%-ს შეადგენდა 2024 წლის პირველ ნახევარში.

გრაფიკი 13: საბალანსო ელექტროენერჯის მოცულობა და გასაყიდი ფასები



წყარო: სემეკი, საქსტატი, სეზი, გალტ & თაგარტი

გრაფიკი 14: საბალანსო ელექტროენერჯის მდგენელები



წყარო: სემეკი, საქსტატი, სეზი, გალტ & თაგარტი



ცხრილი 3: ელექტროენერჯის ბალანსი, გვტ.სთ

	აგვ-23	სექ-23	ოქტ-23	ნოვ-23	დეკ-23	2023	იან-24	თებ-24	მარ-24	აპრ-24	მაი-24	ივნ-24	ვთ24
სულ შიდა მოხმარება	1,211	937	987	1,032	1,218	13,053	1,277	1,146	1,180	993	1,047	1,096	6,738
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+1%	-11%	-8.3%	-8.2%	-3.3%	-7.9%	-0.4%	+1.7%	+5.8%	-4.2%	+1.8%	+11.8%	+2.6%
მათ შორის:													
- აფხაზეთის რეგიონი	199	167	199	222	288	2,703	326	251	261	179	191	160	1,368
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-3%	-9%	-7%	-8.7%	-2.9%	-10.8%	+1.5%	-1.5%	+3.6%	-26.7%	-11.1%	-1.5%	-5.6%
- პირდაპირი მოხმარებლები	257	182	204	202	229	2,779	225	233	244	243	282	290	1,517
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-13%	-36%	-30%	-26.6%	-11.2%	-25.4%	-14.7%	+5.0%	+1.4%	+3.9%	+13.8%	+22.0%	+4.9%
- საცალო მოხმარება*	755	588	584	608	701	7,571	726	662	676	571	573	645	3,853
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+7%	+1%	+2%	+0.4%	-0.6%	+2.2%	+4.1%	+1.8%	+8.4%	+2.3%	+1.4%	+11.4%	+4.9%
მათ შორის:													
- ენერგო-პრო ჯორჯია და ეპ ჯორჯია მიწოდება*	453	356	349	357	402	4,477	417	373	386	333	340	368	2,217
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+5%	+2%	+2%	+0.7%	-5.3%	+1.4%	-3.1%	+1.1%	+5.7%	+0.6%	+1.3%	+9.2%	+2.3%
- თელასი და თელმიკო*	301	232	235	251	299	3,094	309	289	290	238	234	277	1,636
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+12%	+1%	+4%	-0.0%	+6.4%	+3.2%	+15.7%	+2.6%	+12.2%	+4.8%	+1.4%	+14.5%	+8.7%
სულ გენერაცია	1,462	1,118	1,043	1,003	1,166	14,396	1,175	1,022	1,130	1,085	1,411	1,511	7,334
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+4%	-6%	+1%	-11%	+5%	+1.1%	+6%	+3%	+11%	-13%	+6%	+10%	+3.9%
მათ შორის:													
თბოსადგურები	162	302	429	364	378	3,446	428	342	395	74	-	0	1,239
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-32%	-5%	+179%	-27%	-45%	+1.7%	-41%	-47%	+90%	-25%	-100%	-87%	-26.3%
ქარის სადგურები	7	8	7	6	6	86	5	6	8	8	7	5	39
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-29%	+10%	-11%	-13%	-16%	-1.6%	-33%	-2%	+20%	-10%	-14%	-1%	-7.9%
ჰიდროსადგურები	1,293	808	608	633	782	10,863	742	674	727	1,004	1,404	1,506	6,056
%-ლი ცვლილება, ნ/წ	12%	-7%	-30%	1%	88%	+0.9%	98.1%	98.9%	-10%	-12.1%	6.6%	11%	+13.5%
ნიშორტი	-	-	0	81	108	790	160	173	105.52	7	8	4.10	457
%-ლი ცვლილება, ნ/წ	N/A	N/A	-100%	+46%	-50%	-48.5%	-35.2%	-17%	-27.7%	NM	N/A	NM	-23.9%
ექსპორტი	196	132	0	0	0	1,468	8	4	8	58	319	360	757
%-ლი ცვლილება, ნ/წ	+40.1%	+41.0%	N/A	N/A	N/A	+51.2%	N/A	+206%	N/A	-65%	+29%	+6%	+0.1%
სავაჭრო ბალანსი	196	132	(0)	(80)	(108)	679	(152)	(169)	(98)	51	311	355	300
ტრანზიტი	240	300	251	193	243	3,444	44	45	63	15	-	30	391
%-ლი ცვლილება, ნ/წ	-32%	-24%	-28%	-62%	-53%	+9.0%	-92%	-88%	-86%	-85%	N/A	N/A	-73.9%

წყარო: სემეკი, გალტ & თაგარტი

* ეპ ჯორჯია და თელმიკო დაუქმდნენ 2021 წლის ივნისში და ემსახურებიან შესაბამისად ენერგო-პრო ჯორჯიას და თელასის ყოფილ აბონენტებს. ცვლილება გამოწვეული იყო საკანონმდებლო მოთხოვნებით. საცალო მოხმარებაში შედის როგორც თელასის და ენერგო-პრო ჯორჯიას, ასევე თელმიკოს და ეპ ჯორჯიას მიწოდების ჯამური ელექტროენერჯის მოხმარება.



მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტი ენდ თაგარტი" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებელია. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწვევისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტი ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბანკში. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტი ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიზნებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიმართ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილული იქნას, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომელიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიზნებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტი ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იტვირთენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმეწინააღმდეგობა ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტი ენდ თაგარტი არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიზნებმა არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიზნობა მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტი ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტი ენდ თაგარტის მიერ კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდო და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტი ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გასცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმვს, ამ დოკუმენტის სარგებლობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტი ენდ თაგარტი და ჯგუფის ნებისმიერი წევრი შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევაში. შედეგად, ინვესტირებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდელით ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიზნები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიზნები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

ამ დოკუმენტის მიზნები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიზნები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დესტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის ხელმძღვანელი

ევა ბოჭორიშვილი | evabochoirishvili@gt.ge

მთავარი ეკონომისტი

ლამა ქავთარაძე | lashakavtaradze@gt.ge

ანალიტიკის უფროსი ოფიცერი

გიორგი ირემაშვილი | giremashvili@gt.ge

სექტორული კვლევების განყოფილების უფროსი

კახაბერ სამყურაშვილი | ksamkurashvili@gt.ge

სექტორის უფროსი

მარიამ ჩახვაშვილი | mchakhvashvili@gt.ge

სექტორის უფროსი

თათია მამრიკიშვილი | tmamrikishvili@gt.ge

ასოცირებული მკვლევარი

გიორგი ცქიტიშვილი | g.cikitsishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ზურაბ თავკელიშვილი | ztavkelishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

სერგი ყურაშვილი | s.kurashvili@gt.ge

ანალიტიკოსი

ოთარ ცუხიშვილი | otsukhishvili@gt.ge

ანალიტიკოსი

დაჩი მუჯირიშვილი | dmujirishvili@gt.ge

ანალიტიკოსი

მარიამ ოქროპირიძე | maokropiridze@gt.ge

გალტი ენდ თაგარტი

მისამართი: პუშკინის ქუჩა 3, თბილისი, 0105, საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge